# ახალი განთიადი

,,შეღნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

2022 წელი 30 მაისი № 4 № 8179 ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

## ,,მამულო, სიცოცხლეო!,,

კასპში 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა მერაბ კოსტავას სახელობის სკვერიდან დაიწყო. ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ეროვნული გმირის ბიუსტი გვირგვინით შეამკეს.

ღონისძიება ქალაქის ცენტრში მდებარე გმირთა მემორიალთან გაგრძელდა. მამა გიორგიმ (ხოჯავა) საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გარდაცვლილთა მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

საზეიმო ღონისძიება კი კულტურის ცენტრის მიმდებარე მოედანზე გაიმართა, სადაც მოწყობილი იყო თემატური გამოფენები.

დამსწრე საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში ლავრენტი ბაიდაურმა მიულოცა და ერთიან, ძლიერ, მშვიდობიან და თავისუფალ საქართველოში ცხოვრება უსურვა.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ: ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი", სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლი "ქართლი", მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები, სამუსიკო სკოლის სიმღერის გუნდი, ქორეოგრაფიული ანსამბლები: "რკონი", "იმედი", "ფერხული", "ქართლი".

ღონისძიება დაასრულა ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო თეატრმა, კულტურის ცენტრში გამართა სპექტაკლი "მატარებელი".

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რეგიონული ტურნეს ფარგლებში შიდა ქართლში იმყოფებოდა

მთავრობის მეთაური კასპში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან ერთად, სახელმწიფო პროგრამა ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

ქალაქ კასპში მიმდინარეობს დავით აღმაშენებლის, გიორგი სააკაძის და მერაბ კოსტავას ქუჩებზე არსებული შენობების ფასადების განახლება, ცენტრალური მოედნისა და მიმდებარედ არსებული სკვერების რეაბილიტაცია.

პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია კასპის ცენტრისა და გიორგი სააკაძის სახელობის სკვერის მოწყობა, ჯამური ბიუჯეტით - 8,3 მლნ ლარი.

ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძისგან პროექტის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

პრემიერი კასპის ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა, მათგან არსებული საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა და კონკრეტული დავალებები გასცა.

მთავრობის მეთაურთან ერთად სარეაბილიტაციო სამუშაოებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნენ.

## " ბოლო ზარი" 20. 05. 2022

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მოადგილე ზურაბ კოპაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ქალაქის №1 საჯარო სკოლის "ბოლო ზარის" ღონისძიებას დაესწრნენ.

ვახტანგ მაისურაძემ კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრება მიულოცა:

- თქვენ ახლა იწყებთ ცხოვრების ახალ ეტაპს, რომელმაც უნდა განსაზღვროს არამარტო თქვენი მომავალი, არამედ თქვენი როლი ჩვენი ქვეყნის წინსვლაში. თითოეულ თქვენგანს ვუსურვებ წარმატებულ და ბედნიერ მომავალს.

# საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები

✦ კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და პირველმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში შეიცვლება კარ-ფანჯრები, იატაკი, სასმელი წყლის, წყალარინების და ელექტროგაყვანილობის შიდა სისტემები. მოეწყობა სველი წერტილები, სამუშაო ოთახები, დერეფნები, კიბის უჯრედი, პანდუსი და შეიღებება შენობის გარე ფასადი.

შენობის რეაბილიტაციას მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული ი/მ კახა დათაშვილი ახორციელებს, სამუშაოების ღირებულება 130 944 ლარია და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

შენობა გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებდა და შესაბამისად სამუშაო პირობებიც არასათანადო იყო.

პროექტის განხორციელება გააუმჯობესებს და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უმნიშვნელოვანესი ფუნქციების განხორციელებას.

# ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი

ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა, საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში ლავრენტი ბაიდაურმა და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ორ ვეტერანს შალვა გოჩიტაშვილს და ოთარ აზმაიფარაშვილს ხელმძღვანელი პირები სახლებში ეწვივნენ, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს. ორივე ვეტერანს მუნიციპალიტეტის მერიამ ერთჯერადად 1 000 - 1 000 ლარი გადასცა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად - 1 000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 500 ლარს მიიღებენ.

მუნიციპალიტეტში გამართული ღონისძიება, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

*,,ახალი განთიადი,, იძიებს ანიმტერესებთ ადგილობრივ ინფორმაციას. - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენს მეგობრებად! გამოგვიგზავნეთ ანიმტერესო ფოტოები!*

# მუზეუმების დღისადმი მიძღვნილი კვირეული

კასპის მუნიციპალიტეტში მუზეუმების დღისადმი მიძღვნილი კვირეული ჩატარდა.

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტში გამართული ღონისძიებების კვირეული დასრულდა.

კვირეულში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხუთივე მუზეუმი მონაწილეობდა.

კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ქალთა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა გაიმართა. გამოფენის 14 მონაწილიდან 13-ის ნამუშევრები პირველად გახდა ცნობილი დამთვალიერებლებისთვის, მათგან ყველაზე უმცროსი ქალაქის №1 საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ქეთევან კოპაძე იყო.

სასირეთის გენერალ გიორგი მაზნიაშვილის და ხოვლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმებში, ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმში მოეწყო გამოფენები საოჯახო ალბომებიდან, ხატვის კონკურსები, ხოლო საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი თვითშემოქმედება წარმოადგინეს.

კავთისხევში ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში გამართულ ღონისძიებაში "ლხინი სოფლად", მონაწილეობდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებული აღაიანის სასოფლო კლუბის ხალხურ საკრავთა ანსამბლი, საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი "თხოთი". კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ მუზეუმების დირექტორები დაასაჩუქრა წიგნით "შიდა ქართლის ეკლესია - მონასტრები".

# გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზა

სოფელ სასირეთში, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

გზაზე ასფალტის პირველი ფენის დაგების სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა აჩიკო გიგოლაშვილმა დაათვალიერეს. ასფალტის დაგებამდე გზაზე, რომლის სიგრძე 750 მეტრია, მოეწყო რკინაბეტონის კიუვეტები.

გზის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "შარა" ახორციელებს, პროექტი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მისი ღირებულება 538 000 ლარია.

სოფელ სასირეთში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზა ამორტიზებული და მოუწესრიგებელი იყო.

მუზეუმის დამთვალიერებლებს პრობლემური გზა დისკომფორტს უქმნიდა. მოწყობილი საგზაო ინფასტრუქტურით ადგილობრივი მოსახლეობაც ისარგებლებს.

# კასპში ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა

ეროვნული სამოსის დღე კასპის მუნიციპალიტეტში სოფელ ახალქალაქის გალავანში აღინიშნა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული, საესტრადო სიმღერის და ქორეოგრაფიული ანსამბლები. მუნიციპალიტეტში მოღვაწე შემოქმედმა ქალებმა მოაწყეს საკუთარი ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა.

საქართველოში ეროვნული სამოსის დღე 2016 წლიდან აღინიშნება, შესაბამისად კასპის მუნიციპალიტეტშიც. ღონისძიება თავდაპირველად დედაქალაქში ტარდებოდა, შემდეგ კი სოფლებში გადაინაცვლა, კერძოდ ლამისყანის ჯამბაკურ- ორბელიანების სასახლეში, ერთაწმინდის წმინდა ესტატეს სახელობის ტაძრის ეზოში, ამჯერად კი ახალქალაქში.

# ქალაქის მეოთხე – 45!

ასე იწყებოდა:

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში კასპის მოსახლეობის მატებამ განაპირობა სხვადასხვა დასახლებულ უბანში ახალი ბაგა-ბაღების აშენება. ქალაქის დასავლეთით მშენებარე მიკრორაიონის მცხოვრებთა საჭიროებისათვის გაიხსნა (1974 წ.) რიგითი ნუმერაციით მესამე, ხოლო ჩრდილოეთ მხარეზე – მეოთხე. აქეთ, მდინარე ლეხურის კალაპოტის ასწვრივ და მარცხენა ნაპირის მიდამოებში კასპელებს ოდითგანვე გააჩნდათ სავენახე ზვრები და ბაღები, სადაც მერედამერე საკუთარი კოხტა სახლებიც ჩადგეს. ქალაქის იმდროინდელი საბჭოს მესვეურებმა (ნოდარ მურჯიკნელი, გენადი ხაჩიძე, ლადო გუგულაშვილი, ლევან აბულაძე და სხვები) პერსპექტიული განაშენიანების გეგმაც შეიმუშავეს. ამისი გამოძახილი იყო "ვენახების" ტერიტორიაზე 5-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ჩადგმა, გზების მოწესრიგება, ბუნებრივი გაზის მიწოდება, ახალი მაღაზია... ასეთ დროს კი საბავშვო ბაღის უქონლობა ნამდვილად არ ეგებოდა!

და აშენდა იგი. 1977 წლის დასაწყისში მისი გამგის დანიშვნა-შერჩევის საკითხი გადაწყდა კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში (საბავშვო დაწესებულებები მაშინ მას ექვემდებარებოდა). რამდენიმე კანდიდატიდან, საბოლოოდ, არჩევანი ერთზე შეჩერდა. ეს იყო ახალგაზრდა სპეციალისტი დალი კოტეტიშვილი, რომელსაც საბავშვო ბაღში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებაც გააჩნდა, მცოდნეც იყო, ენერგიულიც.

გამგე – დალი კოტეტიშვილი (ბიოგრაფიული შტრიხები):

"თავის" ბაღთან ერთად ისიც იუბილარია, დღემდე შეუცვლელად თავქალობს მის კოლექტივს – ბაღს დაარსებიდან, მას კი გამგეობის 45-წლისთავი 2022 წლის აპრილში შეუსრულდა (ამასთან მაისი ქალბატონი დალის დაბადების თვეა).

გახლავთ ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის კვალიფიციური სპეციალისტი – 1974 წელს დაამთავრა ქ. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი.

მისი პროფესიული ხანგრძლივი საქმიანობის პირად საქმეში მხოლოდ ორი სასტრიქონი ჩანაწერია:

1974-77 წლები – სოფელ ახალქალაქის საბავშვო ბაღის აღმზრდელი;

1977 წლიდან დღემდე – ქ. კასპის მეოთხე საბავშვო ბაღის გამგე!

დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით: "სახალხო განათლების წარჩინებული".

ბაღიდან – ბაღში:

ახლა, როცა ღვაწლმოსილ გამგეს

შეუძლია, გონების თვალი გაადევნოს საპატიო საქმიანობაში უკუმოტოვებულ 48 წელს (ვიმეორებთ, აქედან 45-ს მარტოოდენ ერთგან!), კიდევ ერთი საბავშვო ბაღი ახსენდება – საკუთარი პატარაობისა, როცა მშობლებს დაყავდათ სოფელ კავთისხევის საბავშვო ბაღში. და, იცით, უპირველესად, ვინ აგონდება? – ბაღის გამგე, არცთუ მაღალი, ვინც მუდამ მაღალქუსლიანებზე იდგა და ბაღის შენობაში კაკაკუკით შედიოდა. ასეთ დროს ჯგუფის აღმზრდელი, თურმე, ბავშვებს აფრთხილებდა, – აბა, ყველა წყნარად, სუსანა გამგე მოდისო! ეს ნათქვამი მათზე იმდენად მოქმედებდა, მისეულ ფეხისხმას გაიგონებდნენ თუ არა, ისუსებოდნენ.

– კასპში ჩემი მუშაობის პირველ დღეებს რა დამავიწყებს, – ღიმილით იხსენებს ქალბატონი დალი, – ჯგუფებში ჩემი შესვლისას ბავშვები აღარ ხმაურობდნენ და მივხვდი, გამგეს ყველგან მოშიშის იმიჯს უქმნიდნენ. აი, იქიდან მოყოლებული შევეცადე, უსიამო სტერეოტიპი დამენგრია და დღემდე ასე ვარ, მხოლოდ თბილი საურთიერთო გზები გამომენახა ბავშვთა გულებისაკენ, მათი გულისკარის გასაღები ყოფილიყო ჩემსა და ჩემი თანამშრომლების ხელში. ვფიქრობ, ეს მეც გამომდის და ჩვენი კოლექტივის წევრებსაც.

აღმზრდელების პირველი შემადგენლობა და კიდევ ... :

ახლა, 45-წლიანი გადასახედიდან, უპრიანია მათი ვინაობის ჩამოთვლა, ვინც გასული საუკუნის 70-ანი წლების შუამონაკვეთში შეიკრიბა ერთ კოლექტივად. აი, ისინი: მეთოდისტი მარინა დალაქიშვილი, აღმზრდელები – მაყვალა დალაქიშვილი, ლალი ასიტოვი, მარიამ და ივლიტა დრიაევები, მუსიკის პედაგოგები – ეთერ ომანაშვილი, ია მერებაშვილი,მანანა ნიპარიშვილი, ნინო გეჯაძე...

ესენი კი ამ საუკუნის მეორე ათწლეულში მუშაობდნენ: ნუნუ ნაროზაშვილი, ზოია ჟივიძე, ნელი გორგაძე, მაია აბეწვაშვილი, ციცინო ირემაშვილი, მარინა აბუაშვილი, ქეთევან ცუცუნაშვილი, მარეხი მზარეულაშვილი, ნათია ჯანანაშვილი, ლუიზა ბაინდურაშვილი, ქეთევან ბიძინაშვილი, ლალი თათრიშვილი, ნინო გეჯაძე, თამარ ციხელაშვილი, ლია მარქარაშვილი...

დღევანდელ კოლექტივს კი წარმოადგენენ: მეთოდისტი ლუიზა ბაინდურაშვილი, აღმზრდელ-პედაგოგები – ნელი გორგაძე, მაია აბეწვაშვილი, ციცინო ირემაშვილი, ლედი ჩარაშვილი, ინგა ხინჩაგოვი, ფსიქოლოგი ლია მარქარაშვილი, ლოგოპედი მანანა მარქარაშვილი...

გვესაუბრებიან აღმზრდელ-პედაგოგები:

მაია აბეწვაშვილი – თითქმის სამი ათეული წელია, აქ ვარ. ბევრმა ნაკადმა გაიარა ჩემს ხელში. დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რადგან თითოეული ბავშვის დაცვა და მოვლა გვევალება. ამას, ნორჩების სიყვარულის გარეშე, ნამდვილად ვერავინ შეძლებს. წლების განმავლობაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილებით პატარების ფსიქოლოგიას ღრმად ჩავწვდი, ახალმოსულთა გარემოსთანა და თანატოლებთან შეგუების ნიუანსები ინდივიდუალურია და აქ არის საჭირო აღმზრდელის

უტყუარი ალღო, მახვილი თვალი.

ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, სირთულეც ბევრი შეგვხვედრია. წინა საუკუნის 90-ანი წლების გაჭირვებაც გამოვიარეთ, კუპონიზაციაც, 2008 წლის ომის საშინელებანიც, როცა ჩვენმა ბაღმა ლტოლვილი ოჯახები შეიფარა.

ცხადია, იცვლებოდა სკოლამდელთა აღზრდის პროგრამები და მეთოდები. ყველა დროის პროგრამას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, რასაც მსჯელობამდე მივყევართ.

ნელი გორგაძე – ვეთანხმები ჩემს კოლეგას. ჩემი პროფესიისა და ბავშვების სიყვარული რომ არა, 30 წელზე მეტხანს მუშაობას, ალბათ, ვერ შევძლებდი...

მშობლები სოციალური ქსელიდან:

ნათია მარქარაშვილი – არა, ნამდვილად სასწაულებს ქმნიან კასპის მეოთხე ბაღში. მადლობა თქვენ დაუღალავი შრომისა და ზრუნვისათვის, რამეთუ ყველაფერს აკეთებთ ჩვენი შვილების გახარებისათვის, ბედნიერების განცდისათვის. ამიტომაც მუდამ მიუხარია ჩემს ტასოს ბაღისაკენ.

კატო, იოანას დედა – მინდა, ხმამაღლა ყველას გითხრათ, რომ კასპში არსებობს საბავშვო ბაღი, სადაც სასწაულები ხდება. ამის მოწმე თვითონ გახლდით. ისევ იმ ემოციებით ვარ მოსილი, რაც სახლში მივედი. მხოლოდ მათზე ვფიქრობ – ბავშვებზე, მათ ნამღერზე, საოცარ აღმზრდელებზე, საერთო გარემოზე და, რა თქმა უნდა, მუსიკის ენერგიულ პედაგოგზე – ქალბატონ ნაზი სეფაშვილზე. ნანახს ყველას ვუყვები. დარბაზში "ცეცხლი" დაანთეს ბავშვებმა და მათმა აღმზრდელ-პედაგოგებმა. ეს იყო საოცარი სანახაობა. დიდი მადლობა კიდევ ერთხელ ამ ყველაფრისათვის... გული მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება – ჩემი იოანა წელს რომ ემშვიდობება ბაღს. მინდა, გისურვოთ კიდევ უამრავი პატარის გაბედნიერება. ბავშვების საერთო განვითარებისათვის აუწონავი მნიშვნელობა აქვს გარემოს, სადაც ისინი იზრდებიან. ამ ბაღშია სწორედ ისეთი გარემო, რაც მათ მოგარეულ ბავშვებს ეხმარება, ეხმარებოდა, ეხმარებოდეს, ეხმარებოდეს, ეხმარებოდეს

# მარიკა ბიჭიკაშვილი: ქორეოგრაფია ჩემი ლინასტიური არჩევანია!

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან და მდიდარ კულტურაში ხალხური ცეკვის ხელოვნებას უდიდესი ადგილი უჭირავს. ცეკვა გადაიქცა ქართველთა ცხოვრების თანამდევ სიმდიდრედ და, დასაბამიდან მოყოლებული დღემდე, ერის სავიზიტო ბარათად ჩამოყალიბდა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარება და წარმატება შემთხვევითობით როდია განპირობებული, არა ერთი თაობის წარმომადგენელი მოცეკვავე-შემსრულებლები, პედაგოგები და სპეციალისტები აქტიურ პოპულარიზაციას ეწეოდნენ საცეკვაო ხელოვნების მასებში დასანერგავად, თუ ქვეყნის საზღვრებგარეთ გასატანად. დიდზე დიდია თითოეული ასეთი ადამიანის საშვილიშვილო წვლილი და უშურველად გაღებული ამაგი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების აღზევებაში, შესწავლაში, დაფასებაში. ასეთთა შორის, უთუოდ, მოიაზრება ქართული ქორეოგრაფიის მამამთავრად აღიარებული დავით ჯავრიშვილი (17(29). 01. 1894, სოფელი ერთაწმინდა, კასპის რაიონი – 16. 11. 1971, ქ. თბილისი).

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის გრიფით 2018 წელს დაიბეჭდა და გამოიცა დავით ჯავრიშვილის წიგნი "ქართული ხალხური ცეკვა" ("გამომცემლობა სამშობლო", 756 გვ., შემდგენლები უჩა დვალიშვილი და ბაია ასიეშვილი, პროექტის ხელმძღვანელი სოფიო ლობჟანიძე).

სადღეისო დამაბრკოლებელ გარემოებათა გამო (პანდემვითარება და ა. შ.) წიგნის წარდგინება (ე. წ. "პრეზენტაცია") დახანებით მოხდა, ახლახან, 2022 წლის 15 მარტს.

კარგი საქმის სათანადოდ დამფასებელი კულტღონისძიება, ცხადია, ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში გაიმართა. მასში მონაწილეობისათვის მიპატიჟების პატივი წილად ხვდა კასპელ ახალგაზრდა ქალბატონს – მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების ქორეოგრაფიული ანსამბლ "ფერხულის" შემქმნელს, ამჟამად მის სამხატვრო ხელმძღვანელსა და ქორეოგრაფს – მარიკა ბიჭიკაშვილს.

იგი ქვემოთ მოგვითხრობს საკუთარი, დინასტიურად ოჯახური პროფესიული საქმიანობის შესახებ და გვიზიარებს შთაბეჭდილებებს დედაქალაქური ღონისძიების თაობაზე, სადაც ორგანიზატორთა მხრიდან მიწვევაც კი (დასაჩუქრებაზე რომ არაფერი ითქვას) მისთვის გამოწვევა და პატივია.

***

ბავშვობიდანვე ცეკვისადმი გამორჩეულად სიყვარული დედის და დედის მამის (პაპის), იოსებ მამუკაძის, განვლილმა გზამ განაპირობა. დედა, მერი მამუკაძე იყო პირველი მასწავლებელი, ვინც ქართულ ცეკვას მაზიარა და დღემდე მეც პაპისა და დედის გზის გამგრძელებელი ვარ.

ჩემი ბავშვობის ლამაზი მოგონებებიც სწორედ სოფელ ერთაწმინდას უკავშირდება, ჩემს დედულეთს. როგორ მიმიხაროდა, სადაც უკვე ხანში შესული პაპა და ბებია გველოდა. სანთლის შუქზე ვუსმენდით პაპას, რომელიც ომის ამბებს გვიამბობდა, ხოლო მის შესრულებულ "ბაღდადურსა" და "მთიულურს" გაბრწყინებული თვალებით შევყურებდი და ვცდილობდი, მეც გამემეორებინა მისი მოძრაობა და მანერა.

22 წლის იოსები სამშობლოს დასაცავად მეორე მსოფლიო ომში წავიდა, სადაც რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ ისევ დაუბრუნდა ფრონტის ხაზს.

სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომმა მასაც დაატყო თავისი კვალი, ომიდან ხეიბარი დაბრუნდა და ვეღარ შეძლო ცეკვის გაგრძელება, თუმცა ქორეოგრაფიული საქმიანობისთვის არც მერე გაუნებებია თავი. ერთაწმინდის და ახალქალაქის გოგო-ბიჭებს ასწავლიდა ცეკვას, თვითონაც მსახიობობდა ადგილობრივი თეატრის დადგმებში და ცეკვებსაც დგამდა.

პაპას გამორჩეული ცეკვის მანერა ჰქონდა, ისე მოხდენილად ასრულებდა ცეკვის ილეთებს. უსაზღვრო იყო მისი ცეკვისადმი სიყვარული. ის გახლდათ დედას მასწავლებელი, დედა – ჩემი მასწავლებელი და ასე გადავიდა თაობიდან თაობაზე ქართული ხელოვნების და ცეკვის სიყვარული.

სკოლის დამთავრების შემდეგ, დედამაც, რა თქმა უნდა, არ გადაუხვია გზას და იმდროინდელ კულტურის საგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლე გახლდათ, სადაც გამორჩეული და დიდებული ადამიანები ასწავლიდნენ: ესენი გახლდნენ კონსტანტინე (კოწო) მანჯგალაძე, მიხეილ შუბაშიკელი, ლილი გვარამაძე, ლექსო ნიკოლაძე, ანტონ ჩიხლაძე და ქორეოგრაფიის მამად წოდებული (ერთაწმინდელი) დავით ჯავრიშვილი, რომელიც სადადგმო ხელოვნებას და კომპოზიციას ასწავლიდა და, მიუხედავად იმ დროს მისი შეზღუდული შესაძლებლობისა, სტუდენტებს მაინც უზიარებდა საკუთარ ცოდნას სახლში და ცეკვის ილეთებს თითებით უხსნიდა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დედა თავის მშობლიურ ქალაქ კასპში დაბრუნდა და შემოქმედებით საქმიანობას მიჰყო ხელი. 50 წელზე მეტი ემსახურა ქართულ ქორეოგრაფიას და თაობათა აღზრდას.

დღეს მე ვარ მათი გზის გამგრძელებელი.

როგორც კი პირველად სარეპეტიციო დარბაზში შევდგი ფეხი, იმის მერე აღარ შემიცვლია გადაწყვეტილება პროფესიის არჩევისა და დღემდე ერთი წამითაც არ ვისურვებდი სხვა გზით სვლას.

9 კლასის დამთავრების შემდეგ, 2001 წელს ჩავირიცხე სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯის ექსპერიმენტულ ჯგუფში, სადაც თეატრალურ და ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ვეზიარე. მქონდა ბედნიერება, მეც შევხვედროდი პაპის და დედის ქორეოგრაფს, ბატონ კონსტანტინე მანჯგალაძეს, რომელიც ყველა შეხვედრის დროს ისევ დედის სახელით მომმართავდა. არ შემიძლია, უდიდესი პატივისცემით არ გავიხსენო ადამიანი, რომელიც სადადგმო ხელოვნებას მასწავლიდა – ბატონი გივი ლაცაბიძე, რომელმაც საკმაო ცოდნა გადმოგვცა, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული კუთხით. მისი ბოლო, გამოსაშვები კურსი ვიყავით და ამის შემდეგ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვეღარ შეძლო სტუდენტებთან მუშაობა.

კოლეჯის დასრულების შემდგომ ბატონი გივის გულთბილი რჩევითაც გადავწყვიტე, სწავლა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში გამეგრძელებინა, ქორეოგრაფიული მიმართულებით. 2004 წელს ხელახლა გავხდი უკვე ბაკალავრის სტუდენტი ქართული ხალხური ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფიის განხრით და აქაც გამიმართლა. მახსოვს პირველი გამოცდა, ქართულ ცეკვასა და სადადგმო ხელოვნების პრაქტიკასა და თეორიაში, პირველი ნიშანი და ბატონი უჩა დვალიშვილის სიტყვები, – იცოდე, ეს ნიშანი უნდა გაამართლო! იმ დღიდან უდიდესი პატივისცემა, სითბო და გარკვეულწილად პასუხისმგებლობაც დამყვება ბატონი უჩას მიმართ.

2012 წელს კვლავ ჩავირიცხე ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ხალხური სამუსიკო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტზე (სპეციალობით: ქართული ცეკვა და სადადგმო ხელოვნება) მაგისტრატურაში. ხელმძღვანელი გახლდათ ბატონი უჩა დვალიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. იგი 2007 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ქორეოგრაფიული განყოფილების მიმართულებას. ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის ფარგლებში რეგულარულად ატარებს მასტერკლასებს ქორეოგრაფიაში თბილისსა და რეგიონებში. მისი ხელმძღვანელობით ფოლკლორის ცენტრმა არაერთი ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტრადიციული საცეკვაო ფოლკლორული ნიმუშების დასაფიქსირებლად.

უჩა დვალიშვილი არის რედაქტორი ოთარ თავბერიძის წიგნისა "დიდი ჯანო" (2009 წელი). შემდგენელია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის მასალაზე დაყრდნობით გამოცემული ანთოლოგიისა "ავთანდილ თათარაძე – "ქართული ხალხური ცეკვა" (2010 წელი).

მანვე შეადგინა დავით ჯავრიშვილის წიგნი "ქართული ხალხური ცეკვა", რომელიც 2018 წელს გამოიცა. ახლახან, 2022 წლის მარტში მეც მხვდა წილად ბედნიერება, დავსწრებოდი ბატონი დავით ჯავრიშვილის წიგნის პრეზენტაციას, შემოქმედებით საღამოს. შევხვდით ბატონი დავითის შთამომავლებს, შვილიშვილს გიორგი ჯავრიშვილს და რძალს ნატა ჭელიძე-ჯავრიშვილს, რომლის წყალობითაც ქართულ ქორეოგრაფიას და მომავალ თაობებს შეუნარჩუნდა უდიდესი საგანძური, რომელიც არაჩვეულებრივი, დამხმარე საშუალებაა ნებისმიერი დამწყები თუ მოქმედი ქორეოგრაფისთვის და არა მარტო.

დიდი მადლობა ფოლკლორის ცენტრს და ბატონ უჩა დვალიშვილს ამ არაჩვეულებრივი საჩუქრისთვის, უზომოდ დიდი შრომისთვის, იმ მასტერკლასებისა თუ საღამოებისთვის, რომელიც არ გაძლევს მოდუნების საშუალებას, გმატებს სტიმულს და ცოდნას, გაცნობს უამრავ ადამიანს, ვინც მთელი გულით ემსახურებიან ქართულ ქორეოგრაფიას, ქართულ სიმღერას, გადასცემენ თაობიდან თაობას, ზრდიან პატარებს ხელოვნების და კულტურის სიყვარულით და შენც ამ ყველაფრის თანამონაწილე და თანამოზიარე ხარ.

2016 წელს ჩემს მშობლიურ ქალაქ კასპში ჩამოვაყალიბე ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც და დამდგმელი ქორეოგრაფიც თვითონ ვარ. სახელზე დიდხანს არ მიფიქრია და ანსამბლს ყველაზე უძველესი ცეკვის ზოგადი სახელწოდება "ფერხული" დავარქვი. ფერხული გამოხატავს გუნდობრივ ცეკვას სიმღერით და იგი მომღერალ მოცეკვავეთა გუნდის უძველესი სახელწოდებაა, ხელიხელ გადაბმული მოცეკვავეთა წრედ ბრუნვა. და მეც ვცდილობ, ჩემთვის მონდობილი პატარები ხელიხელ ჩაკიდებულნი ვაზიარო არა მარტო ქართულ ცეკვას და კულტურას, არამედ ერთმანეთის პატივისცემასა და სიყვარულს.

ხელოვნების მერიდიანზე

# ქვა, რომელიც სუნთქავს ...

## (მოქანდაკე დავით ქაბზინაძის შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

ვინ არის მოქანდაკე დავით ქაბზინაძე – ბუნებრივი ქვის დამუშავების ოსტატი, ვინც ორიგინალურ კომპოზიციურ ნაკეთობებს აცოცხლებს, სულს უდგამს, ამღერებს და აჰაეროვნებს?! ვინც საქართველოში არაერთი ეკლესია მოაქანდაკა ქვაწყობილით და საკუთარი ნახელავით გაამშვენიერა ეკლესია უკრაინაში, კერძოდ, დონეცკის ოლქის სოფელ ნიკოლსკში?! ვისი ორიგინალური სტილის კომპოზიციებით მოხიბლული მნახველი და შემსყიდველი, საქართველოს გარდა, უკვე მრავლად გამოჩნდა ამერიკაში, გერმანიაში, პოლონეთში, იტალიაში?!..

***

გაიცანით პროფესიული მოწოდებითა და პირადი გატაცებით, სულითა და ხორცით ტერფამდე, ხელოვანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თავისი საქმიანობა მთელი არსებით უყვარს, საერთო შთაგონებით მისცემია ბუნებრივი ქვისა თუ ძვირფასი ლითონების შერწყმის შედეგად უიშვიათეს ნაკეთობათა შექმნის პროცესს და მათ თუკი მზის სხივებზე შეხედავთ, ადამიანის თვალი უკეთეს მშვენიერებას ძნელად იხილავს, მზის ათინათზე იმდაგვარად გაბზინდებიან, გაბრწყინდებიან ...

ისეთ დროსა და ვითარებაში, როცა უიშვიათესი კომპოზიციების ორიგინალებს ქმნის, 41 წლის დავით ქაბზინაძე ჩამოჰგავს პოეტს, რომელიც მუზამოძალებისას გონების თვალსაწიერზე ნათლად ხედავს სალექსო სტრიქონებს, თუმცა არ კი უწყის, ლექსს როგორ ჩამოქნის და დააბოლოებს, ხელთ რა შერჩება, როგორც ავტორს... მაგრამ არა, იგი პოეტი არ არის!

ჰგავს იმ ფერმწერს, რომელიც მოლბერტთან დგას და ჩარჩოზე გადაჭიმულ ხამ ტილოზე ტოვებს ფუნჯის საწყის ფერებს, მაგრამ არ კი იცის, ნახატი როგორი გამოუვა მზა სახისა, როგორც ავტორს... მაგრამ არა, იგი მხატვარი არ არის!

დავით ქაბზინაძე თითქოს ის ექიმი-დასტაქარიც არის, ვინც საკუთარი პროფესიული გამოცდილებით იწყებს ქირურგიულ ოპერაციას პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად, თუმცა წინასწარ ვერ განჭვრეტს, რამდენიმე საათიანი მცდელობის შემდეგ როგორი შედეგი დაუდგება... მაგრამ არა, იგი ჰიპოკრატელი მკურნალი როდია!

შეიძლება შევადაროთ იმ მეთევზესაც, რომელიც ბარაქიანი ნადავლის იმედიანობით ანკესს გააწყობს და მდინარის პირად ცდის თავის ნებისყოფას სანატრელი ოქროს თევზის ნემსკავზე წამოგების მოლოდინში და შინ ხელმოცარულად მობრუნებას ფიქრადაც არ გაივლებს... მაგრამ არა, ის არც მეთევზეა, თუმცა მდინარეებს ხშირად კი სტუმრობს, მათ სანაპიროებსა და მშრალ კალაპოტებში ეძიებს, არც მეტი და არც ნაკლები, რიყის ქვებს – სახიერსა და ფერადოვანს, ფორმიანსა თუ უფორმოს.

ქართველ კაცს ანდაზად უთქვამს, – ვისაც არ უნდა, რიყეზე ქვასაც ვერ დაინახავსო.

ჰო, ასეა, მდინარეში გარეცხილ-გალოკილი, რიყეზე დაგდებული ქვა უსარგებლო და უფუნქციოა, მაგრამ როგორც კი ადგილიდან დაიძვრება და პატრონის ხელში მოხვდება, მაშინვე გამსუბუქდება და მის თვალში ახალი დანიშნულების სამიზნე ხდება.

დავით ქაბზინაძე, იქნებ, სხვა სპეციალობითა და ჰობით გატაცებულ ადამიანებსაც შევადაროთ, მაგრამ, ამჯერად, სწორედ აქ უნდა შევჩერდეთ – საქართველოს წყალუხვ და წყალმარჩ მდინარეებთან: მტკვართან, არაგვთან, თეძამთან...

მას მიაჩნია, რომ ყველაზე ნაირსახოვანი და "მსუბუქი" ბუნებრივი ქვა არაგვის ხეობაშია. სამუშაო მასალად გამოსადეგი ქვის მოძიებისას, ოსტატის შემეცნებაში ერთდროულად ცხოველდება თვალსაწიერი, როგორც ნამდვილი პოეტისა, ფერმწერისა, მეჩუქურთმისა, მქანდაკებლისა, მძერწავისა, მეყალიბისა, ჩამომსხმელისა, კომპოზიციონერისა...

დავით ქაბზინაძე ის მოქანდაკეა, ვინც რიყის უბრალო ქვასა და ძვირფას სახეობას აცოცხლებს, სულს შთაბერავს და ხდის ნიავივით მსუბუქს, ხილულად მქროლავსა და გულისძგერაამაჩქარებელს, მსგავსად ქალი-მდედრის სხეულის ნაზი ნაკვთებისა და კაბისკალთის სიოსებური შრიალისა, ვითარცა ახალი სიცოცხლის დამბადისა და საწყისისა... თუმცა, თემატურად შეუზღუდავია და მისეულ კომპოზიციებში ცალკე გამოიყოფა ფლორისა თუ ფაუნის ჯგუფი.

ხელოვანს გაცნობისას ხელს თუკი ჩამოართმევთ, მის მარჯვენა

ტორში ძალუმად შეიგრძნობა მისეული მუსკულატურის შინაგანი სიძლიერე, ფიზიკური ღონიერება და გაგიკვირდებათ, ასეთ ხელებში როგორ იბადება ესოდენ ნატიფი, ჰაეროვანი, სახიერი შტრიხებით მდიდარი კომპოზიციები. არადა, მას დღენიადაგ უხდება გამოყენება ისეთი სამუშაო იარაღებისა, როგორიცაა: ელექტროდრელი (სახვრეტელი), ბორმანქანური ბურღი, სატეხელი, ჩაქუჩი...

დავითი პროფესიულ-ოჯახური საქმიანობის გამგრძელებელია: მამა, აკაკი ქაბზინაძე გახლავთ პროფესიონალი მოქანდაკე, საქართველოს მხატვართა

კავშირის წევრი, სამხატვრო აკადემიაში სწავლისას გიორგი ოჩიაურის – ქართული ჭედურობის მეტრის – ჯგუფის წარმომადგენელი, ანუ ის ხელოვანი, ვისი ნამუშევრები დაცულია თბილისის, პეტერბურგისა (ყოფილი ლენინგრადის) და სხვა ქალაქების სახელოვნებო ფონდებში.

საინტერესოა, რომ დავითმა მამის სკოლა გაიარა ჯერაც მოზარდობისას: აკაკი ქაბზინაძე იმჟამად იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში პედაგოგობდა და როცა შინ მოწაფეებსაც ამეცადინებლა ხატვაში, მათთან ერთად ოთახში პირმშოც გამოჩნდებოდა ხოლმე, ის თავდაპირველად ინტერესის გამო მოხვდა მამის შეგირდების წრეში, მერე კი შვილი–მოსწავლის როლი იმდენად კარგად მოირგო და გაითავისა, ფერწერას სულაც ჭაბუკური არჩევანი დაუკავშირა: ჯერ ნიკოლაძის სასწავლებელში შევიდა, მერე თოიძისა და, ბოლოს, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. ორიოდე წელში, როცა მამას ჯანმრთელობა შეერყა, პედაგოგობას თავი დაანება და "მშრალი ხიდის ბაზრობაზე" საკუთარი ნამუშევრებით გავიდა, დავითი იძულებული შეიქნა, აკადემიური შვებულება გაეფორმებინა და თვითონ დადგომოდა შრომითი საქმიანობის გზას.

ასე გახდა დავით ქაბზინაძე ქართული ეკლესიების მომჩუქურთმებელი. თითქმის 15 წლის განმავლობაში იდგა არაერთი, ახალმშენებარე თუ გასაახლებელი, საეკლესიო ნაგებობის ხარაჩოებზე – ქ. თბილისში, სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობისას, ასევე, ზემო სვანეთში (აქ თეორი წმინდა გიორგის ეკლესიის საკურთხეველი კეთილგააწყო), სამეგრელოში...

ეს წლები ნამდვილად საინტერესო და სასარგებლო გამოდგა, ქვის დამუშავებაში ხელიც გაიწაფა და თვალიც, ჩაწვდა ხელობის პროცესების სიღრმისეულობას, ანუ, ქვა დაიმორჩილა თავის ნებისად და ჩამოყალიბდა ძველქართული, ტრადიციული, წმინდა საქმის ოსტატად.

ამიტომ გასაკვირი როდია, რომ დაიდო პატივი და პირადი ნახელავით მარჯვენა საქართველოს ფარგლებგარეთაც შეიქო, კერძოდ, უკრაინაში – დონეცკის ოლქის სოფელ ნიკოლსკში, სადაც ახალი ეკლესია მოაპირკეთა (რამდენიმე ქართველ დამხმარესთან ერთად). ახლა, როცა დონეცკში საომარი მდგომარეობაა და ბრძოლები თვეობით გრძელდება, ძალიან

აინტერესებს, რა დღე დაუდგათ ნიკოლსკელებს, რა ბედი ეწია მათ ეკლესიას?

რამდენიმე წელია, რაც დავით ქაბზინაძემ დედაქალაქური ცხოვრების აჩქარებული ტემპი და დამთრგუნველი საერთო გარემო სოფლისაზე გაცვალა, იქაურობას გამოერიდა და საცხოვრებლად საკასპელოში გადმოვიდა, სოფელ მეტეხში დასახლდა, სადაც წინაპართა ფესვები უხმობდა და დიდი სანათესაო ეგულებოდა, ახალი სანაცნობო წრე ეპატიჟებოდა. ისე, ისტორიულად, ქაბზინაძეები იმერული მიწა-წყლის მკვიდრნი არიან. დავითმა ისიც დაგვიკონკრეტა, რომ ქართლური სამემკვიდრეო ფესვიც გააჩნია, მისი ბებო სოფელ თელიანში მეტეხიდან ყოფილა გათხოვილი, ამასთან, შვილიშვილია არა მარტო კასპში, არამედ საქართველოში კარგად ცნობილი მოჭიდავისა, შოთა მაზმიშვილისა.

ასე და ამგვარად, მეტეხურ ყოფაში შემოქმედებითი პოტენციალი უფრო გაიცხოველა, იდეა იდეას წაება და გაჩნდა თემატური პროექტები. შედეგი კი ისაა, რომ უკვე 300-ზე მეტი კომპოზიციური ქანდაკი შექმნა. მათი ზომები მერყეობს 30-დან 60 სანტიმეტრის სასიმაღლო ზომებში.

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საშემოსავლო ნაწილის გზა გამოიკვეთა. მისი ნამუშევრები პოპულარული გახდა ფართო მასებისათვის. სოციალურ-ტექნოლოგიური საიტის ჯგუფებისა და გვერდების მეშვეობით შემსყიდველი გამოუჩნდა უცხოეთიდანაც და ახალ შეკვეთებსაც იღებს. მისი ნახელავით მოხიბლული არიან ამერიკელები, გერმანელები, პოლონელები, იტალიელები... ორიგინალური მიმართულებისა და გამორჩეული ხელწერის მოქანდაკის შემოქმედებით დაინტერესდნენ ქართული ტელეარხები და მოამზადეს სადილაო სიუჟეტები.

"ასე მგონია, ამ ხელობას აღარასოდეს მივატოვებ, ჩემს ცხოვრებაში ქვითხუროობა გამიხდა მთავარი მიგნება და ის ჩემი გამართლებული არჩევანია", – ოპტიმისტური განწყობით აცხადებს დავით ქაბზინაძე, იშვიათი ნიჭით მომადლებული ოსტატი, რომელიც, სამუშაო პროცესში თავდავიწყებით ჩაძირული, ერთდროულად თითქოს პოეტიც არის, მხატვარიც, ექიმიც, თუმცა არც ერთია და არც მეორე, ან მესამე. ის გახლავთ ქანდაკმქმნელობის ჯადოქარი მესაიდუმლე, ვისაც შთამაგონებელი განწყობა არასოდეს ტოვებს, მისი ყოველდღიურობის ერთგული და უღალატო თანამგზავრია.

## დედაქალაქური, რესპუბლიკური

✦ ქართული ჭიდაობა:

10-12 აპრილი, ქ. ქარელი – იქაური მოჭიდავეები დიდ სპორტულ წარმატებებს აღწევენ ჭიდაობის ყველა სახეში და კარგახანია, რაც ჯანსაღ კონკურენციას უწევენ დედაქალაქელ თუ გორელ მოჭიდავეებს. ამიტომ მათ "კედლებში" გამოსვლა თავისებური გამოწვევაა სხვებისათვის. და, აი, ქარელმა უმასპინძლა რესპუბლიკურ პირველობას 2005–07 წლებში დაბადებულთა შორის. იქ ერთი ფინალისტი გვყავდა – აკო ხიზანბარელი. მან თავის სასარგებლოდ დაამთავრა გადამწყვეტი ორთაბრძოლაც და ჩემპიონობა დაიმსახურა. ჩვენებური კიდევ ორი ჭაბუკი შედგა კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე: დავით ნინიკაშვილი და თორნიკე გორჯოლაძე.

✦ კიკბოქსინგი:

15-17 აპრილი, ქ. ზესტაფონი – საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა კასპელმა ორმა მოსწავლემ: ნიკა ბერიანიძემ და თორნიკე კაციაშვილმა.

✦ ჭიდაობა ძიუდო:

პირველი მაისი, ქ. ბორჯომი – ადგილობრივმა მერიამ პირველად მოაწყო თასის გათამაშება. მისასალმებელია, როცა მუნიციპალური ხელმძღვანელობა აწესებს ამგვარ ტურნირს, რითაც ხელს უწყობს და ნამდვილად გამოდის არა მარტო საკურორტო ზონაში, არამედ მთლიანად საქართველოში მასობრივი სპორტის დანერგვის აქტიურ მხარდამჭერად.

ფართოდ იყო წარმოდგენილი გეოგრაფიული არეალი – 20 ქალაქი და რაიონი, წონითი კატეგორიები – 19, მონაწილეთა ასაკი კი განისაზღვრებოდა 2004-07 წლებით.

ბორჯომული ტატამი კასპელმა ჭაბუკებმაც დააჭაშნიკეს. შინ ბრინჯაოს მედლებით დაგვიბრუნდნენ აკო ხიზანბარელი და დავით ნინიკაშვილი.

✦ ჭიდაობა ძიუდო:

4 მაისი, ქ. თბილისი, დედაქალაქის ღია პირველობა – სპორტსაზოგადოება "განთიადის" დარბაზში თბილისის ჩემპიონის ტიტულისა და პრიზიორობისათვის იასპარეზეს 2007–08 წლებში დაბადებულმა მოსწავლეებმა. კასპის საჭიდაო სკოლა ასახელა თორნიკე გორჯოლაძემ, რომელიც ძიუდოს კლუბი "მებრძოლის" სახელით გამოდიოდა.

✦ კრივი:

4 - 7 მაისი, ქ. მარნეული – საქვეყნო პირველობებზე აქამდე შიდა ქართლის მხრიდან თუ გორელი და ვარიანელი მოკრივეები ჩანდნენ, ახლა მათთან ერთად ცალკე გადის ხოლმე კასპის გუნდიც, რომელიც ერთი-ორი სპორტსმენის გაყვანას უკვე სისტემატურად ახერხებს. ეს კი შემდგომისათვის პერსპექტივას სახავს ...

კასპელმა 13 წლის ყმაწვილკაცმა, ნიკა ბერიანიძემ, შეგვაჩვია, რომ რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ტურნირებიდან უმეტესად გამარჯვებულ - ჩემპიონის სახელით ბრუნდება... მარნეულში ამჯერადაც ახლოს იყო წარმატებასთან, მაგრამ ნახევარფინალურ შეხვედრაში გაწბილდა ძლიერ მეტოქესთან და, საბოლოოდ, მესამე საპრიზო ადგილით დაკმაყოფილდა.

✦ ჭიდაობა ძიუდო:

6 მაისი, ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემიის დარბაზი – ბევრ მოჭიდავეს ისევ ერჩის გულიცა და მუხლიც, აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ. ეროვნული ფედერაციის თავკაცები მათ თითქმის ყოველწლიურად აძლევენ საკუთარი ძალ-ღონის გამოჩენისა და დემონსტრირების შანსს, თუნდაც ვეტერანების სტატუსით. შარშან და შარშანწინ ასეთი დათვალიერება ჩაიშალა (სრულიად გასაგები მიზეზით, რაც ზემოთ ვახსენეთ).

წლევანდელი მაისის დასაწყისში კი "ბებერმა" ბიჭებმა კვლავ მოირგეს კიმონოები... უამრავ მოხალისე ძიუდოისტს შორის, ვისაც სჯეროდა საკუთარი ჯანმრთელობისა და ძალისა, იყო ჩვენებური კაციც – ხოვლელი ბექა მიქუტიშვილი (დაბადებულია 1988 წლის დეკემბერში). ის გახდა პირველობის მესამე პრიზიორი და, ამდენად, კიდევ ერთი მედლით გაამდიდრა აქტიური კარიერის პერიოდში შექმნილი სასაჩუქრე კოლექცია.

✦ კარატე - დო: კასპის ღია პირველობაზე, ყველა ასაკობრივ ჯგუფსა და წონით კატეგორიაში, 300-მდე მონაწილე შეიკრიბა, არა მარტო კასპიდან. მათი ერთი ნაწილი აქედან წავიდა კასპის ჩემპიონის სახელით, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილობრივი გოგო-ბიჭები ყველაზე წარმატებულად გამოვიდნენ. ისინი ორ კლუბს წარმოადგენდნენ და გუნდურ ჩათვლაში პირველმეორე ადგილებს ვერავინ შეეცილა.

✦ თავისუფალი ჭიდაობა: სასკოლო პირველობა, ძირითადად, საკუთარი რეზერვის დათვალიერებას ითვალისწინებს. ასე მოხდა აპრილის დასაწყისში, როცა მწვრთნელებმა გამოცადეს ნორჩი ძიუდოისტები. ახლა "თავისუფლების" ჯერი დადგა და ფიცხელ ორთაბრძოლებში იხილეს ახალბედებიც, ვინც მწვრთნელებმა ხვალ-ზეგ უნდა იახლონ გარეთ გასამართავ ტურნირებზე. ნორჩებს ამ პირველობის სამახსოვროდ შემორჩებათ პირველი მედლები და დიპლომები, არც იმას დაივიწყებენ, რომ ისინი დააჯილდოვეს როგორც ვეტერანმა მოჭიდავეებმა და მწვრთნელებმა, ისე თვით მუნიციპალიტეტის თავკაცებმა.

✦ ჭადრაკი: 14 მაისს სპორტკომპლექსის მრავალპროფილურ დარბაზში გაიმართა მემორიალური პირველობა, რომელიც მიეძღვნა კასპელი ვეტერანი მოჭადრაკის და პედაგოგის ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის (06. 02. 1955 – 28. 08. 2018) ხსოვნას. პირველობა მოიპოვა თამაზ გუგულაშვილმა (7 ქულა). II და III ადგილზე გავიდნენ მიხეილ მაკეევიჩი და მამუკა ზაქარაშვილი.

## შიდა, მუნიციპალური

## კასპელები – უცხოეთში ...

სადღეისოდ ჩვენში აღარავის უკვირს ქართველი სპორტსმენების გამოსვლები უცხოეთის ქვეყნების სახელოვანი კლუბებისა და გუნდების სახელით, სპორტის როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ სახეობებში.

წარმოგიდგენთ ჩვენებურ ორ ახალგაზრდას, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩნდა ცხოვრებისეულ გარემოებათა გამო და, პარალელურად, არც იქ ივიწყებენ საყვარელ სპორტს:

გიორგი კაციაშვილი – საქართველოს 2016 წლის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (სოფელი ქვემო გომი): სამიოდე წელია, რაც გიორგი ამერიკაში ცხოვრობს და მუშაობს. იგი ნამდვილად არ გადგომია ძიუდოს განზე. აგერ, 2022 წლის 24 აპრილს მეორედ მოიპოვა აშშ-ის ჩემპიონის სახელი კლასიკურ ძიუდოში (მასთან ერთად გაჩემპიონდა მისივე მეგობარი, კობა მჭედლიშვილი).

რობინზონ ბეგლარაშვილი – 2015 წელს ქ. თბილისში ჩატარებული ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის (ფესტივლის) გამარჯვებული ჭიდაობა ძიუდოში (შეგახსენებთ, რომ დღესელმა ჭაბუკმა მაშინ იტალიელ მანუელ ლომბარდოს სძლია, რომელმაც სულ ახლახან ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ევროპული პირველობის მედალი ირგუნა)... ამიერიდან რობინზონი თავის შესაძლებლობებს სცდის ძალისმიერი სპორტის არენაზე, სადაც მისი დებიუტი წარმატებული გამოდგა: პირველი ორთაბრძოლა მოიგო წესებგარეშე ბრძოლაში.

## შუა აპრილიდან შუა მაისამდე

კასპელმა სპორტსმენებმა, უფროსებმა და უმცროსებმა, ზამთრის პერიოდთან შედარებით, აპრილის შუიდან მაისის შუამდე, მეტი ინტენსივობით იასპარეზეს (რაც დაკავშირებულია, უპირველესად, კოვიდრეგულაციების შერბილებასა და მოხსნასთან):

– სპორტის სხვადასხვა სახეობაში – კარატეში, ჭიდაობაში, კრივში, კიკბოქსინგში, ჭადრაკში, კალათბურთში, ფეხბურთში ...

– ადგილობრივ, დედაქალაქურ, რესპუბლიკურ, საზღვარგარეთულ ტურნირებზე – კასპში, თბილისში, ზესტაფონში, ბორჯომში, მარნეულში ... პოზნანში (პოლონეთი), სოფიაში (ბულგარეთი) ...

– სხვადასხვა დონისა და მასშტაბის პირველობებზე – შიდა მუნიციპალურსა და საქვეყნოზე, თასის გათამაშებებზე, ევროპის პირველობაზე ...

წარმატებულთა ვინაობას გაგაცნობთ და მოკლედ მიმოვიხილავთ მათი გამოსვლების შედეგებს, სპორტულ-ტექნიკურ მიღწევებს, დავაანონსებთ უახლოეს შეჯიბრებებს.

## ევროპული თასის გათამაშების ტრიუმფატორი

2022 წლის 23-24 აპრილს პოლონურ ქალაქ პოზნანში წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ძიუდოისტებმა, განსაკუთრებით მძიმეწონოსნებმა.

ევროპის ახალგაზრდული თასის გათამაშებაში ნაკრები 27 სპორტსმენით წარდგა, მათგან "მძიმე არტილერიაში" იყვნენ: ირაკლი დემეტრაშვილი, შალვა გურეშიძე, გიორგი და უჩა ტაბატაძეები,

აი, ფურორი იმას ერქვა, რაც ქართველების კვარტეტმა შექმნა პოზნანის დარბაზში.

თითოეულის პირადი წონა ხომ 100 კილოგრამს ამეტებდა და გასაკვირია, მათ საერთო წონას როგორ გაუძლო იქაურმა პედესტალმა.

საქმე ისაა, რომ ქართველი ჭაბუკები კვარცხლბეკის საფეხურებზე მხარდამხარ დადგნენ, ანუ ერთმანეთში გაინაწილეს სამივე სინჯის მედლები.

ოქროს მედალი რომელმა დაინარჩუნა? – ირაკლი დემეტრაშვილმა!

*გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!*

## კასპელი ძალოსნები ყაზახეთში ძალისმიერი სამჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრნენ

კასპის მუნიციპალიტეტიდან ყაზახეთის რესპუბლიკაში ძალისმიერი სამჭიდის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეებს გამგზავრებამდე, მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე შეხვდა.

წარმატებული ძალოსნები (წოლჭიმი), 19 წლის საქართველოს 5-გზის ჩემპიონი გიორგი კრუპნოვი და 20 წლის ევროპის ჩემპიონი სიმონ ორბელაშვილი (მწვრთნელი გიორგი მერებაშვილი) - საქართველოს ნაკრების წევრები არიან.

მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა დაუღალავი შრომით მოიპოვება, ამასთან დიდი პასუხისმგებლობაა და მჯერა, რომ საუკეთესო შედეგებით დაბრუნდებით.

მინდა, წარმატებები გისურვოთ სპორტულ კარიერაში, ჩემის მხრივ კი მხარდაჭერა და თანადგომა ყოველთვის იქნება - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

გიორგი კრუპნოვის მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო.

## სოფელ ქვემო ჭალის საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის მონტაჟი მიმდინარეობს

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ დაათვალიერა.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "გურიამშენი" ახორციელებს. პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან 99 500 ლარით ფინანსდება.

ამჟამად შენდება საქვაბე და წყლის სისტემა. პარალელურად, შენობაში გაყვანილობის და რადიატორების მონტაჟი მიმდინარეობს.

სოფელ ქვემო ჭალის საჯარო სკოლაში 159 მოსწავლე სწავლობს, სასწავლო პროცესს კი 22 პედაგოგი ემსახურება.

2022-2023 სასწავლო წლიდან, სკოლა ზამთარს კომფორტულ პირობებში შეხვდება. როგორც ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა, საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტია.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

*რუბრიკა - წელიწადის ,,მეხუთე დრო,, ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გააცანით ისინი საზოგადოებას.*

## "ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე ღმერთო"



გოგი მერაბიშვილს (1941 22. 11. - 2021 14. 04) (მერაბიჩს) ბავშვობიდან ვიცნობდი. სწორედ ამ ფაქტის გამო ზედმიწევნით კარგად ვიცი მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები. ყმაწვილობაში სასიამოვნოდ მოულოდნელი "სიცელქეების" წამომწყები მეგობრების ცხოვრების მარადიულ თანადგომას ახერხებდა დღენიადაგ.

არასოდეს ყოფილა კაეშანს მიცემული, არც ის უცდია უფრო ჭკვიანად, ან უფრო უკეთესად მოსჩვენებოდა ვინმეს. მოძრავი, სიცოცხლით და ხალისით სავსე იზიდავდა არა მხოლოდ თანატოლებს. ყოველთვის კარგად ხედავდა საკუთარ ნაკლს და ამ უკანასკნელზე მრავალ სახალისო ამბავს ჰყვებოდა. მისი ყველაზე საჩინო თვისება თანადგომა იყო. თანადგომა არა მოსაყოლად.

გოგი ყოველთვის იყო წამომწყები და ორგანიზატორი მნიშვნელოვანი შეკრებისა — მეგობართა შვილების ცირკში დაპატიჟებიდან მოყოლებული, მათი ქორწილების ორგანიზებით დამთავრებული. საერთოდ, არასოდეს ამბობდა მაამებელ და "ღუნღულა" ფრაზებს, პირიქით, თავის დიდ სიყვარულს უმეტესად ირონიულ-გროტესკულ ფორმაში გამოთქვამდა.

მისმა თანადგომამ ევოლუციის გზით სისტემური სახე მიიღო, კერძოდ, თუ მის გვერდით გონიერი, ნიჭიერი (აუცილებლად ღირსეული!), უბრალოდ პერსპექტიული ახალგაზრდა (მაგრამ ხელმოკლე ოჯახის შვილი!) გამოჩნდებოდა, თავისი "სახელობის სტიპენდიას" უნიშნავდა და იმ დღიდან მისი შვილობილი ხდებოდა. ჟურნალისტური ეთიკის ნორმის დაცვით ვერ გავამხელ მათ ვინაობას, ვისაც გოგი მერაბიშვილი შეეხიდა უმაღლესში თუ ასპირანტურაში სწავლისას, ან ბინის ქირა უხადა წლების განმავლობაში. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ამ ადამიანს, მხოლოდ ამ თანადგომისათვის იგი ჩვენი ქვეყნის საპატიო მოქალაქე იყო.

ბიზნესთან ყმაწვილობიდანვე "გაშინაურებული" წარმატებით უძღვებოდა საქმეს და "მისდაუნებურად" მრავალი ნოვაციის წამომწყები გახდა. იმდენად კრეატიულად აღიქმებოდა მისი მოქმედებები, რომ კასპში სახლის მშენებლობისას თვითონაც კი უკვირდა, ისეთ "ამბებს" ისმენდა. მოსმენილს ჩვეული იუმორით ხვდებოდა... და მრავალი ახალი ამბავი ემატებოდა კასპურ ფოლკლორს.

მაშინ, როცა საბჭოთა ქვეყნის რყევა დაიწყო, გაქრა შუქი, პური, შაქარი და მისთანები, სხვათა მუდმივმა თანამდგომმა მაცხოვრის ტაძარი აღადგინა. იმ დროს ეს ერთადერთი სწორი მოქმედება იყო, რომელიც ძალიან სჭირდებოდა საზოგადოებას.

ძნელი დრო ისევ მისი ენთუზიაზმით აივსო. როგორ მოუხარ-

კასპის მუნიციპალიტეტი
KASPI MUNICIPALITY
GIORGI MERABISVILI
გიორგი მერაბიშვილი
კასპის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე
The Honorary Citizen of Kaspi Municipality
კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: [illegible]

ოდა ყველას მაცხოვრის აღდგენის სამუშაოებზე, მერე როგორ იზეიმა მთელმა ქალაქმა სალოცავის ხელახალი დაბადება. გოგი მერაბიშვილმა კასპს მაცხოვრობის დღესასწაული ხელახლა დაუბრუნა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სპეციალური გადაცემა მოამზადა მაშინდელმა პირველმა არხმა. ეკლესიების აღდგენააშენების ტალღა ჯერ კიდევ არ იყო მომძლავრებული.

გადამღები ჯგუფი თავის საქმეს აკეთებდა, არჩევდა კადრს, აყენებდა განათებას, იწერდა ბლიცინტერვიუებს მოსახლეობასთან, მშენებლობის უშუალო მონაწილეებთან.

გოგი აუღელვებლად ადევნებდა თვალყურს მიმდინარე მოვლენებს და მხოლოდ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, როგორ განიცდიდა, როგორ უნდოდა, რომ ყველა და ყველაფერი უკეთესი მხრიდან დაენახათ ჟურნალისტებს. თავის ინტერვიუში, რა თქმა უნდა, მადლობით აავსო ყველა გვერდში მდგომი და რეჟისორს მოკრძალებით უთხრა: ვიცი მუსიკას მუსიკალური რედაქტორი არჩევს გადაცემისთვის, მაგრამ მაინც, იქნებ გოგი დოლიძის შესრულებული "ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე ღმერთო" იყოს ლაიტმოტივი გადაცემისო. გადაცემის ავტორმა სურვილი შეუსრულა. საქართველოში 1991 წელი იდგა.

მისი ღრმადმორწმუნე მეუღლე სიცოცხლის ბოლომდე (სანამ სარეცელს მიეჯაჭვებოდა) ყოველდღე თბილისიდან დადიოდა კასპში, ვერც სამსახურს ანებებდა თავს და ვერც მეუღლეს იმეტებდა მარტოობისთვის.

ყველას თბილისში უნდა ცხოვრება, ან აქვს იმედი, რომ აუცილებლად იცხოვრებს დედაქალაქში. გოგიმ უთქმელად გააკეთა არჩევანი თბილისში ცხოვრებასა და მშობლიურ ქალაქს შორის.

მშობლიური ქალაქის სიყვარული არაერთხელ გამხდარა "განხილვის" საგანი მერაბიჩის მოწყობილ ტრადიციულ შეხვედრებზე მის სახლში, მარანში ბუხართან თუ ეზოში აშენებულ შუაცეცხლთან. სხვათა შორის, ჩვენს ქალაქში მეორე ასეთი არ არსებობს. როდესაც დავინტერესდი, რამ გაფიქრებინათ ეზოში შუაცეცხლის გამართვა, მაშინ, როცა თქვენი ბუხრის და მარანის სანახავად უცხოელებიც კი მოდიან - მეთქი? არც კი გამაგრძელებინა საუბარი, შუაცეცხლის გვერდით დამაყენა და მითხრა, ცოტა ხანს დარჩი მარტო და თვითონ იგრძნობო...

მისი სახლი და ცხოვრება ყოველთვის გახსნილი იყო გვერდით მდგომთათვის. აკი ამიტომაც, მიუხაროდათ მასთან ბიჭებს — ძველგაზრდებსაც და (რაც უფრო საგულისხმოა!) ახალგაზრდებსაც.

2011 წლის 28 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით გოგი მერაბიშვილს კასპის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ყველა თავის კვალს ტოვებს... სააქაოს აკლდება წასულის სითბო, ენერგია ...

ჩვენს მშობლიურ ქალაქს უმრავლოს მზრუნველი მოქალაქეები, იყვნენ ისინი შეძლებულნი, გულკეთილნი, გულუხვნი, კაცთმოყვარენი, ქართველების ერთად ყოფნის მარადიული დამფასებელნი.

,,ახალი გვნთავლი,, იძენს ავიმდენრიდა ყურადღებას ადგილობრივ ჩვეულებებს ადგილობრივ ფოტო-მასალიანს შეიტანილია. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - ოფლოვით თქვენი ყველი ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ავიმდენრიდა ფოტოები!

## შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

1. თბომავლის ოპერატორი;
2. ხარატი;
3. ელექტრიკოსი და ელექტროტექნიკოსი ზედამხედველი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი რეზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის ივნისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

## სოფელ ახალქალაქში ჩოგბურთის კორტების მშენებლობა მიმდინარეობს



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში ჩოგბურთის კორტების მშენებლობა მიმდინარეობს.

პროექტით გათვალისწინებულია 4 ჩოგბურთის კორტის, გასახდელის და ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.

შპს "სპორტმშენსერვისის" მიერ ჩოგბურთის კორტების მშენებლობაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "გუდაურმა" სამუშაოები უკვე დაიწყო.

სამუშაოების სრული ღირებულება 3 275 823 ლარია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჩოგბურთო ბაზა ხელს შეუწყობს ჩოგბურთის განვითარებას, როგორც პროფესიულ, ასევე სამოყვარულო დონეზე.

## ფესტივალი ბათუმში

13-15 მაისს ქალაქ ბათუმში ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-13 ფესტივალი გაიმართა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტები, ტურიზმის სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გამოფენაზე კასპის მუნიციპალიტეტი წარმოადგინეს შპს "თი-ემთი"-მ, შპს "ჯორჯიან ნატურალ-პროდუქტმა" და ინდმეწარმე ირმა გოგობერიძემ. შპს "თი-ემთი"-მ გამოფენაზე დამთვალიერებლებს საკონსერვო ნაწარმი, ხილის წვენები, მურაბები და მარინადები, ხოლო შპს "ჯორჯიან ნატურალპროდუქტმა" სხვადასხვა სახის სასმელი შესთავაზეს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ირმა გოგობერიძის პროდუქციამ - მრავალი სახეობის თხის ყველმა, ვინაიდან საქართველოში თხის მოშენება და ყველის წარმოება შედარებით იშვიათია. კასპის მუნიციპალიტეტს საერთაშორისო გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის სერტიფიკატი გადაეცა.

## ველოდებით თბილისის გრანპრის

აპრილ-მაისის სამიჯნო დღეებში ნამდვილი საჭიდაო ბრძოლები გადაიხადეს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დიდი იმედებით ჩასულმა ევროპელმა ძიუდოისტებმა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, საწყის წონაში, უფროსთა შორის პირველად იასპარეზა ჯაბა პაპინაშვილმა, მაგრამ ამჯერად – უშედეგოდ... სპორტი სპორტია, ძიუდოს სჩვევია მოულოდნელობანი, ამიტომ ჯაბა იმედიანად უნდა გვყავდეს, წელს კიდევ მიეცემა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. თანაც, სულ მალე! საქმე ისაა, რომ 3-5 ივნისს საქართველოს დედაქალაქი მასპინძლობს "თბილისის დიდი მუზარადის" რეიტინგულ გათამაშებას (ანუ "გრანდსლემს"). ევროპის ძიუდოს ფედერაციის განრიგით იგი მარტში იგეგმებოდა, მაგრამ "კოვიდ – 19"-ის გამო საივნისოდ გადმონაცვლდა. ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა გადაწყვეტილებით ცნობილია წინასწარი განაცხადური შემადგენლობა. ქართველები მასპინძლის უფლებით სარგებლობენ და ყველა წონაში გამოვა 4–4 მოჭიდავე (სულ 35: 28 ვაჟი + 7 გოგონა). 60 კილოგრამამდე კატეგორიაში ჩაერთვებიან: ლუხუმ ჩხვიმიანი, ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე და შალვა ისერგიშვილი. საქართველოს დედაქალაქში ივნისი დიდი სპორტული ჯახით დაიწყება: სტუმრობა უძლიერესი და ფართო შემადგენლობებით დააანონსეს იაპონიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ნაკრებებმა.

**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გიორგი შაქარაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## გზის ყიბაური

გაზაფხულდა, მამა!

პირველად გათენდა 14 აპრილი უშენოდ... ერთი მძიმე წელი მიითვალა უშენოდ, მამა! ძალიან შეეტყო სახლ-კარს უშენოდ გათენებული, უიმედო ცარიელი ღამეები.

გარდაცვალების შემდეგაც დაგაფასეს. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა, გენერალ-მაიორმა, ბატონმა კობა კობალაძემ გადმოგვცა საპატიო სიგელი "მადლობა ღირსეული სამსახურისთვის".

შენი ვეტერანი ძმებიც არ გაკლებენ ყურადღებას, მუდამ ახსოვხარ, მოდიან და გიგონებენ. მამა, ნეტა ჩვენთან ყოფილიყავი და რა დაგვაკლდებოდა, თუ ჯილდო არ მოგემატებოდა... არაფერი გვანუგეშებს ამ სიცარიელეში. ძნელი ყოფილა ობლობა, შვილიშვილებსაც ენატრები, ძნელია უშენობა. ყველა ვეტერანის ოჯახსაც მოაკლდა შენი მზრუნველობა. ნათელი და სანთელი არ მოაკლდეს შენს ხსოვნას.

შვილი დარინა კობაური-გზირიშვილი.

## ისევ მოვიდა მაისი

ისევ მოვიდა მაისი. ნანი მერებაშვილი-მოსიაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წელი გასულა ფიქრით, მონატრებით, სევდით გალეული ერთი წელი .. როგორ დაიტირა ქალაქმა კდემამოსილი ქველმოქმედი, მუდამ სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. იმ დღეებში უცნობი ადამიანები ცოტა გაოცებით კითხულობდნენ -"მართლა ასეთი კარგი ქალბატონი იყოო? და პასუხად ისმენდნენ დახმარების, ზრუნვის, გულისხმიერების დაუსრულებელ ისტორიებს.

ცხოვრება ძველებურად გვთავაზობს მოულოდნელობებს, თითქოს გვიმტკიცებს, რომ ბედისწერას ვერსად გაექცევა ადამის მოდგმა. 10 მაისს წელი შესრულდა ნანის გარდაცვალებიდან, პირველ მაისს კი მისი და - დალი აღესრულა. ერთ წელში ორივე დამ შეაღეს მარადიული სასუფევლის კარი.

ნანის და დალის ცხოვრების ზნეობის, პატიოსნებისა და რუდუნების მაგალითი ძნელად მიატოვებს ჩვენი ქალაქის თანამედროვეთა ცხოვრებას, აქაური ზემოქმედების სფეროს. როგორი დიდებული ქალბატონების დადებითი ენერგია დააკლდა საქაოს.

მიმოვიხედოთ ირგვლივ და მიწამდე დავუხაროთ თავი ასეთ ქალბატონებს. ოცდამეერთე საუკუნეშიც ადამიანებში ისევ მარადიულ ღირებულებებს ვეძებთ და ვეთაყვანებით. ნანი დეიდა ახლა ზეციური საქართველოს მკვიდრია იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, იქ, სადაც გარდაცვლილ შვილთან მიუწევდა გული...

დრომ თვალხილულად დაგვანახა, როგორ სჭირდება დღევანდელობას ზნეკეთილი, ქართველები... თურმე, ჩვენს პრაგმატულ სინამდვილეში ათასგზის მეტად ფასდება მოყვასზე მზრუნველი ღირსეული ადამიანები და კიდევ, როგორც არ უნდა ვალამაზოთ სინამდვილე, დრო ამბობს მართალს, - ვის ძალით იხსენებენ, ზოგს კი ვერ ივიწყებს ხსოვნა გულისა.

ნანა მერებაშვილი

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76